პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 1949 წ. № 38 (8341). ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენი სამშობლოს მშრომელები აღნიშნავენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების XXXI წლისთავს.

ძლევამოსილი საბჭოთა არმია ფხიზლად დგას ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ჩვენს არმიას, ავიაციას და ფლოტს!

დიდება ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილი არმია

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები დღესასწაულობენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი არმიის არსებობის 31-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიამ თავისი არსებობის ოცდათოთმეტი წლის მანძილზე ბრძოლებისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა გაჯარა.

ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადები ლენინი და სტალინი იყვნენ ახალი ტიპის არმიის პირველი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი. საბჭოთა არმია დაიბადა და ვაჟკაცდებოდა სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში. იგი ძოწოდებული იყო დაეცვა ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ინტერესები, დაეცვა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა არმიამ ღირსეულად შეასრულა ეს როლი. სამოქალაქო ომში საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უმაგალითო გამარჯვებათა შემოქმედნი იყვნენ ბოლშევიკური პარტია, ხალხთა ბრძენი ბელადები ლენინი და სტალინი.

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას. ლენინ-სტალინის პარტიამ დარაზმა მშრომელები ორი ომით გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში უდიდესი გარდაქმნები მოხდა. წინათ ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა არმია ფხიზლად იცავდა ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას. ამ წლებშიც უცხოელ დამპყრობთ არა ერთხელ უცდიათ ხელეყოთ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი, ღირსება და დამოუკიდებლობა, მაგრამ ყოველთვის საკადრისი პასუხი მიუღიათ ძლევამოსილი საბჭოთა არმიისგან.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი გამუდმებით განამტკიცებენ საბჭოთა არმიის ძლიერებას და მის ბრძოლისუნარიანობას. საბჭოთა არმიის უძლეველი ძალა და სიმტკიცე შესანშნავად გამოვლინდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამეო ომში. ომების ისტორიაში უმაგალითო ორთაბრძოლაში საბჭოთა არმიამ შემუსრა ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები, განდევნა ისინი ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან და გამარჯვება მიუტანა ევროპის ხალხებს, რომლებიც ფაშისტთა მონობაში იყვნენ ჩავარდნილნი. ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილმა არმიამ ბოლო მოუღო ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აიფრიალა დამარცხებულ ბერლინში. იმპერიალისტური იაპონიის განადგურებით საბჭოთა მეომრებმა უფრო გაამაგრეს საბჭოთა იარაღის ძალა და უჭირონ დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობა არის საბჭოთა არმიის წარმატებათა ძირითადი წყარო.

ჩვენი არმიის გამარჯვებები აიხსნება იმითაც, რომ საბჭოთა მეომრებმა იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ იცავდნენ თავის სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოთა მეომრებს მტერზე გამარჯვების გაეოქედვაში დაეხმარნენ ჩვენი ქვეყნის ადამიანები — ქუმები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, რომლებიც თავდადებულად იტანდნენ ომის დროის ყველა სიძნელეს და ფოიხტს აწოდებდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა არმიის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

ამხანაგ სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთელი ისტორია, მისი ბრწყინვალე გამარჯვებანი დიდი სამამეო ომის ფრონტებზე. დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის, მისი არმიის ძლევამოსილი გამარჯვება ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

საბჭოთა ხალხი თავიანი სახელოვანი არმიის 31-ე წლისთავს აღნიშნავს უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. წარმატებით შეასრულა რა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმა, საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის მიმდინარე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს მშრომელები მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის. ამ საქმეში თავის პატრიოტულ შეგნებას ახალი ძალით ავლენენ ფრონტისა და ზურგის ყოფილი მეომრები, რომელთაც დიდი სამამეო ომის წლებში გმირული ბრძოლითა და შრომით ისახელეს თავი.

ამხანაგი სტალინი ასწავლის ჩვენს ხალხს: „ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ გადადგიეართ რა მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინვითი გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას“.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი განუხრელად ზრუნავს ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობისა და შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სამ ათეულზე მეტი წლის მანძილზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები დგანან ფხიზლად დგანან ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საგუშაგოზე. ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს, ხალხს. ისინი მომავალშიც გაამარჯვებენ ხალხის დიდ ნდობას, სამიედოდ დაიცავენ მის ინტერესებს, თავისუფლებასა და მშვიდობიან შრომას.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიას და სამხედრო საზღვაო ფლოტს!

დიდება გენიალურ მხედართმთავარს, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს!

სახელგანთქმული პარტიზანი სტუმრად დრეზნის უნივერსიტეტთან

ამას წინათ მოსკოვის ოლქის დრეზნის სართავ-საქსოვი ფაბრიკის კლუბში არმიისა და ავიაციის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებათა წევრები შეხვდნენ პარტიზანული რაზმის ცნობილ მეთაურს „ბატიას“ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ პ. კ. იგნატოვს.

პ. კ. იგნატოვმა ფეიერვერკებს მოუთხრა ძმებ იგნატოვების სახელობის პარტიზანული რაზმის წარმოშობის ისტორიისა და იმ თავდადებული ბრძოლების შესახებ, რასაც ყუბანელი პარტიზანები ეწეოდნენ ბტრის ზურგში.

„ახალგაზრდა გვარდიის“ ხსოვნის აღსანიშნავად

ვოროშილოვგრადის ოლქის კრასნოდონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისათვის შზადების დღეებში თხოვნით მიმართა ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების უკრაინის საორგანიზაციო ბიუროს, რომ ქალაქში მოეწყოს „ახალგაზრდა გვარდიის“ სახელობის თვითმფრინავ-საპლანერო სადგური.

კრასნოდონელ კომკავშირელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს. კრასნოდონში მოწყობილია თვითმფრინავ-საპლანერო სადგური.

ა. თ. მოჟაისკი— მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის შემქმნელი

გამოფენა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრალურ სახლში

19 თებერვალს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრალურ სახლში გაიხსნა მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის შემქმნელის ალექსანდრე თეოდორეს-ძე მოჟაისკისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია დოკუმენტები, ფოტოსურათები, ნახაზები და ნახატები, რომლებიც მოგვითხრობენ გამოჩენილი რუსი გამომგონებლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ა. თ. მოჟაისკი დაიბადა 1825 წელს. იზრდებოდა საზღვაო კადეტთა კორპუსში და შემდეგ რუსეთის ფლოტში მსახურობდა.

1878 წელს ა. თ. მოჟაისკიმ შეიმუშავა აეროპლანის დაფრენილებითი პროექტი და მიღო მისი პატენტი. მანვე ფარმანამდე 30 წლით ადრე წარადგინა ეელერონები — თვითმფრინავის დახრის გამოსასწორებელი საშვები.

გამოფენაზე ნაჩვენებია ფოტოსური პროიექციისა (პატენტისა), რომელიც ეკუთვნისა და მანუფაქტურების დეპარტამენტმა მისცა 1881 წლის 3 ნოემბერს I რანგის კაპიტან ა. თ. მოჟაისკის მისი გამოგონებისათვის. ამ მოწმობას დართული აქვს აეროპლანის ნახაზი და დაწერილებითი აღწერა.

1882 წელს ა. თ. მოჟაისკიმ მსოფლიოში პირველად აგო თვითმფრინავი, რომელზეც დადგმული იყო მოკაისკიისავე კონსტრუქციის ორთქლის ძრავა. 1882 წლის 2 ივლისს ეს საფრენი აპარატი გამოსცადეს ფრენაში. გამოფენაზე წარმოდგენილ დიდ პანოზე ალბეჭდილია მოჟაისკის აეროპლანის გამოცდა საერთაშორისო ბალეტზე კრასნო სელოში აგებულ იქნა ვეებერთელა ფიცარნაგი, საადანაც აფრინდა ეს მსოფლიოში პირველი აეროპლანი

გამოფენაზე ნაჩვენებია აგრეთვე მოჟაისკის პირველი საფრენი ავიამოდელის ნახაზები. ერთ-ერთი მისი მოდელი ჰაერში აფრინდა ძოდელის ფეზზელაზე მიერული საზღაო დაშენთ. აქვე ნაჩვენებია მოჟაისკის მიერ თავისი აეროპლანისათვის გაკეთებული პირველი ძრავების ნახაზები.

დიდად საინტერესოა სურათი — ა. თ. მოჟაისკი რუსეთის ხომალდიდან აკვირდება ზღვის ფრენგეთა ფრენას. მეორე სურათზე გამოხატულია დიდი ამწეები ძალის ფრანის მსოფლიოში პირველი ბაფრენა. ამ ფრანთან აფრინდა თვითონ გამომგონებელი ა. თ. მოჟაისკი. ფრანების ასეთი ცდები საზღვარგარეთ გაცილებით უფრო გვიან მოხდა. ფრანგმა მაიომ და ინგლიესელმა ბადენ-პაველმა ფრანთან ასეთი ფრენა მხოლოდ ათი წლის შემდეგ გამოეჩინა. დოკუმენტები, რომლებიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის ისტორიის კომისიამ აღმოაჩინა, ნამდვილად ადასტურებენ, რომ მოჟაისკი მსოფლიოში პირველი თვითმფრინავის პირველი გამომგონებელია. საზღვარგარეთ ასეთი მანქანები ორი ათეული წლის შემდეგ გაჩნდა. ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატები, რომლებიც ფრანგმა ადერმა, ინგლისელებმა ფილიპსმა და მაკსიმმა, ამერიკელებმა ლენგლიმ და რაიტებმა შექმნეს, თითქმის ბოლოანად იმეორებდნენ მოჟაისკის კონსტრუქციის აეროპლანს.

გამოფენაზე ნაჩვენებია აგრეთვე მასალები, რომლებიც გვიმტკიცებენ შესანშნავი რუსი გამომგონებლის შემოქმედებითს მეშაობას. დოკუმენტებში უცილობლად მოწმობენ რუსული მეცნიერის პროიორიტეტს აეროპლანის გამოგონებაში. (საკვლევ).

მეათიათასე „მოსკვიჩი“

(მოსკოვი, „კომკავშირის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხანის მთავარი კონვეიერიდან ჩამოეშვა მეათიათასე „მოსკვიჩი“. ამ მარკის პირველი მანქანები 1946 წლის დამლევს გაეკეთა. ხარისხი განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა. ამიტომ ბნეშვნელოვან გაუმჯობესებულია მანქანის ნაკეთობა, შეღებვა, შიდადამაყენა. მეათიათასე „მოსკვიჩის“ გამოშვების დღე ქარხანაში ზეიმით იდღესასწაულეს. ზეიმზე მეათიათასე „მოსკვიჩის“ საცდელი გარბენა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1949 წლის 23 თებერვალი № 10 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს თავისი შეიარაღებული ძალების ოცდათეთოძეტე წლისთავს.

თვიანთი არსებობის წლებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ჩვენი შეიარაღებული ძალები სამეფოდ იცავდნენ მას უცხოელ დაპყრობთა თავდასხმისაგან.

მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გაუძლეს მკაცრ გამოცდებს და გამოიჩინეს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი. საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ხელმძღვანელობდნენ რა სტალინური სამხედრო მეცნიერებით და უნარიანად იყენებდნენ მას ბრძოლის ველზე, გამოიწრთნენ და განმტკიცდნენ, ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვეს დიდ სამამეულო ომში და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მძლავრი საბრძოლო ძალა გახდნენ.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი შეიარაღებული ძალებით, რომლებიც ნამდვილად სახალხოა და იცავენ მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ომისშემდგომ წლებში ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი სრულყოფის საქმეში. მაგრამ ამ წარმატებებმა როდი უნდა დაგვიმშვიდოს. ყველა საბჭოთა მეომარი მოვალეა დღითი დღე იმაღლებდეს საბრძოლო ოსტატობას, იფართოებდეს თავის სამხედრო, პოლიტიკურ და ტექნიკურ ცოდნას, განამტკიცებდეს სამხედრო დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

გენერლებმა, ადმირალებმა და ოფიცრებმა არა მარტო ღრმად უნდა შეისწავლონ ჩვენი სამხედრო მეცნიერება, არამედ კიდევაც უნდა განავითარონ იგი. აუცილებელია ყოველდღიურად დაენერგოთ ჯარების სწავლების პრაქტიკაში არა მარტო ომიდი სამამეულო ომის გამოცდილება, არამედ საბჭოთა სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე ბიღწევანიც. აუცილებელია გულმოდგინედ ეიუფლებეთ ლენინის მოძღვრებას, ჩაეენერგოთ ხელმეეიოთ სამხედრო საქმის სიყვარული და აღვზარდოთ ისინი მხედრული მოვალეობისადმი მტკიცე ერთგულების სულისკვეთებით.

სერჟანტები და ზემდეგები, ჯარისკაცები და მატროსები ბეჯითად უნდა სწავლობდნენ სამხედრო საქმეს, უსიტყვოდ ასრულებდნენ საჯარისო წესდებათა მოთხოვნებს და უფროსთა ბრძანებებს, ეუფლებოდნენ თავიანთ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, ამრავლებდნენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრაიდოსანთა რიგებს.

ამ დიდებულნენელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენ აღგვაფრთოვანებს საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევანი ომისშემდგომი ხუთწლეულის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, მისი მტკიცე გადაწყვეტილება—ახალი გამარჯვებანი მოიპოვოს კომუნიზმის გზაზე.

მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ცდილობენ რა ძალით დაამყარონ თავიანთი მსოფლიო ბატონობა, ახორციელებენ აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას და განუხრელად იბრძვის მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ამ პირობებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაუღალავად უნდა უზრუნველყონ მუდმივი და სრული საბრძოლო მზადყოფნა.

საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი არმია, ავიაცია და ფლოტი ფხიზლად იდგომებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ოცდამეთერთმეტე წლისთავს.

სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვოადივოსტოკში, პორტ-არტურსა და ვბირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში. სევასტოპოლსა და ოდესაში მიეცემელ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!
გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!
გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!
გაუმარჯოს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები თავიანთ 31-ე წლისთავს ხვდებიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა ვითარებაში. ჩვენი სამშობლო ახალი მძლავრი აღმავლობის გზაზეა. წარმატებით სრულდება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეული, სწრაფად ვითარდება ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა.

აშენებს რა კომუნიზმს, საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მსოფლიოს ყველა პროგრესულ ადამიანში.

საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდა, მშვიდობისა და უშიშროებისათვის მისი მტკიცე ბრძოლა გააფთრებულ გაბრძოლებას იწვევს იმპერიალისტების ბანაკში. ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები ამზადებენ ახალი მსოფლიო ომის გეგმებს, აშკარად ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკურ კურსს, ქმნიან ყოველგვარ სამხედრო კავშირებსა და ბლოკებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მსოფლიო ბატონობის ახალ პრეტენდენტთა ეს გიჟური გეგმები ჩასაფუშავად არის განწირული. მაგრამ იმპერიალისტთა პროვოკაციული პოლიტიკის შედეგად თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში შექმნილი დაძაბულობა მტკიცედ გვიკარნახებს გაძლიერეთო ზრუნვა სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედს, აღწევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების გადიდებას.

ომის წინა წლებში, როცა მოვსპეთ ექსპლოატატორული კლასები, ავაგეთ სოციალისტური საზოგადოება, ჩვენ მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის უძლეველ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ შექმნეს მატერიალურ-ტექნიკური წინაპირობები სოციალისტური სამშობლოს მაღალი თავდაცვისუნარიანობისათვის. ამ საფუძველზე მოპოვებულ იქნა სრული გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

ომისშემდგომ პერიოდში გრძელდება ჩვენი ზურგის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ურყევი ძლიერების გადამწყვეტი ფაქტორის, განმტკიცება. ახლა ცხადია, რომ ომისშემდგომი ხუთწლეული ვადამდე შესრულდება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. აბსნაგმა სტალინმა თავის სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს დასახა ამოცანა — მიეაღწიოთ სამი ხუთწლედის მანძილზე, რომ ჩვენმა მრეწველობამ ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. „მხოლოდ ამ პირობით, — ამბობდა აბსნაგი სტალინი, — შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან“.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ არმიის ძალა დამოკიდებულია არა მარტო ჯარების რაოდენობაზე, არამედ მათ თვისებაზე, მათ საბრძოლო წრთობაზე, სამხედრო ოსტატობაზე, მორალურ-საბრძოლო სულისკვეთებაზე, პოლიტიკურ მომზადებაზე.

საბჭოთა არმია ახალი ტიპის არმიაა. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იგი იცავს ყველაზე მოწინავე და პროგრესულ საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, დგას დიდი სოციალისტური მონაპოვრის სადარაჯოზე, ხალხის საარსებო ინტერესების სადარაჯოზე. მაღალი კეთილშობილური მიზნები, რომლებსაც ჩვენი საბჭოთა არმია ემსახურება, მისი მაღალი მორალური სულისკვეთების წყაროა.

საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ახალი ადამიანი მაღალი მორალური თვისებებით. საბჭოთა მეომარი საშობლოს მგზნებარე პატრიოტია, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული, თავისი მხეცრული ვალის ერთგულია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე ჯარების იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. საბჭოთა მეომრები იზრდებიან მაღალი სოციალისტური შეგნების, საშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. ისინი აღაჭესენი არიან სიძულვილით მშრომელთა ყველა მტრებისადმი, დრომოჭმული კაპიტალიზმისადმი მისი კაცთმოძულეობის იდეოლოგიით, მისი მორალური გახრწნით. სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის პირადი პასუხისმგებლობის შეგნების სულისკვეთებით აღზრდილნი, საბჭოთა მეომრები ფხიზლად დგანან ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების სადარაჯოზე.

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში საბჭოთა არმიამ თავი გამოიჩინა როგორც პირველხარისხოვანმა თანამედროვე არმიამ, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველ არმიას სჯობდა. ომმა ცხადყო საბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის, სამხედრო მეცნიერების, სამხედრო ოსტატობისა და სამხედრო იდეოლოგიის ყველა უპირატესობა. საბჭოთა არმიამ გააკმტვერა გერმანიის არმიისა და მისი იდეოლოგების გაბერილი ავტორიტეტი.

ომისშემდგომ პირობებში ჩვენი არმიის რიცხვი მკვეთრად შემცირდა. საჭიროა დაუღალავად სრულყოთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ავითვისოთ დიდი სამამულო ომის გამოცდილება. აბსნაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ომისშემდგომ პერიოდში „საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა დღითიდღე უნდა აამაღლონ თავიანთი სამხედრო ოსტატობის დონე ომის გამოცდილების საფუძველზე, სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე“.

საბჭოთა მეომრებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის გაუმჯობესებაში, განვლილი ომის მდიდარი საბრძოლო გამოცდილების შესწავლაში. ჩვენი არმიის, ავიაციისა და ფლოტის მეომრები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და კვლავაც იმაღლებენ თავიანთ საბრძოლო მზადყოფნას და საბრძოლო წვრთნას, განამტკიცებენ სამხედრო დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

ჩვენი საშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ავიაციის, არმიისა და ფლოტის ხელშეწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა უფრო ფართოდ და წარმატებით უნდა დაეუფლოს ყველა სახის საჰაერო, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სპორტს, სამხედრო ტექნიკურ ცოდნასა და ჩვევებს.

დიდი სამამულო ომის წლებში სოციალისტური მრეწველობა სავსებით უზრუნველყოფდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით. შშვიდობიან ვითარებაში საბრძოლო ტექნიკა განუწყვეტლივ ვითარდება. საბჭოთა მეომრები მტკიცედ ეუფლებიან სამხედრო ტექნიკის ახალ ნიმუშებს. ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა მფრინავებმა რეაქტიული თვითმფრინავების ათვისებაში.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. საბჭოთა მეომრების წინაშე, ისე როგორც არასოდეს წინათ, დგას ამოცანა—ყველაფერი მიჰყვნენ სამხედრო ტექნიკის განვითარებას. ეს ნიშნავს, რომ ყოველდღიურად აიმაღლონ თავიანთი ტექნიკური კულტურა, იყვნენ თავისი იარაღის ნამდვილი ოსტატები. ჩვენს დროში მებრძოლისა და მეთაურის ტექნიკური კულტურა სამხედრო პროფესიის სრულყოფილად დაუფლების აუცილებელი მოთხოვნაა.

დიდმა სამამულო ომმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მტერზე გამარჯვებისათვის ყველა შესაძლებლობათა გამოყენებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს არმიის მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზატორული უნარი. ამხანაგ სტალინის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ის არის, რომ ომის დროს მან შეარჩია, აღზარდა და ხელმძღვანელ პოსტებზე წამოაყენა ახალი სამხედრო კადრები, რომლებმაც თავიანთი ზურგზე გადაიტანეს ფაშისტს დამპყრობთა წინააღმდეგ ომის მთელი სიმძიმე.

მშვიდობიანი დროის პირობებში საბჭოთა სამხედრო კადრები მოწოდებული არიან არა მარტო მიჰყვნენ სამხედრო საქმის განვითარებას, არამედ წინ წასწიონ იგი. ამაში დიდ როლს ასრულებენ ჩვენი სამხედრო აკადემიები, რომლებიც ამზადებენ მაღალკვალიფიციური სამხედრო ინტელიგენციის კადრებს და წარმოადგენენ საბჭოთა სამხედრო მეცნიერების განვითარების ცენტრებს. სამხედრო კადრები კელავაც იქნებიან ის ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც მათ უსახავს ლენინ-სტალინის პარტია, ჩვენი მთავრობა.

• • •

საბჭოთა ხალხი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ახალი ომის გამჩაღებელთა ხრიკებს. მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების გარანტიას იგი, უწინარეს ყოვლისა, ხედავს თავისი შეიარაღებული ძალების შემდგომ განმტკიცებაში. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მთელი ჩვენი ხალხი სიფხიზლეს ზრუნავს საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის განმტკიცებისათვის.

მშვიდობიან პერიოდში ჯარების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შესახებ ამხანაგ სტალინის მითითებანი მთელი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. „გამოცდილებამ გვიჩვენა, — გვასწავლა ამხანაგი სტალინი, — რომ თანამედროვე ომი ჯარებისაგან მოითხოვს მაღალ საბრძოლო და მორალურ თვისებებს. ჯარ სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას, საბრძოლო ტექნიკის უნარიანად გამოყენებას, სამედო თანამოქმედებას და დიდ ფიზიკურ გამძლეობას“.

ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულებით საბჭოთა მეომრები, სამხედრო საქმის განუწყვეტელი განვითარების, საბრძოლო ტექნიკის ზრდის პირობებში, იმაღლებენ თავიანთ სამხედრო-თეორიულ, ზოგად-საგანმათლებლო და პოლიტიკურ ცოდნას, განამტკიცებენ სამხედრო დისციპლინას. საბჭოთა სამხედრო სიამაყის კანონიერი გრძნობის განვითარებით საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის კადრები იმსჭვალებიან უფრო მეტი სიყვარულით სამხედრო საქმისადმი და პატიოსანმგებლობით იმპერიალისტთა ყოველგვარი ხელყოფისაგან სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

ამზადებენ რა მუსმე მსოფლიო ომის გეგმებს, აშერიკელი იმპერიალისტები და მათი ევროპელი მსახურები მიდიან გერმანელი ფაშისტების მიერ გათელილი გზით და არავითარი დასკვნები არ გამოაქვთ უკანასკნელი ათწლიანის მოვლენების გამოცდილებიდან.

ორ მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები, განსაკუთრებით ფაშისტი მესვეურები, ეწევოდნენ ომის წარმოების სხვადასხვა აეანტიფაშისტული თეორიის პროპაგანდას. ისინი აშინებდნენ ხალხებს საბრძოლო ტექნიკის სიახლეებით და თავიანთ პროპაგანდაში გაჰყვიროდნენ, რომ თანამედროვე ომი იწარმოებს მხოლოდ საჰაერო ძალებით, სატანკო ან მცირე პროფესიული არმიებით, რომ ეს ომი ელვისებური იქნება. მოგლენების მსვლელობამ გააცამტვერა ყველა ეს „თეორია“ და ცხადყო სტალინური სამხედრო მეცნიერების მთელი უპირატესობა. ფაშისტს დამპყრობთა არმიებთან ორთაბრძოლაში, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს. ჰიტლერული გერმანიის განადგურება განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებდა კეთილშობილური განმათავისუფლებელი მიზნები და იგი იცავდა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ჩვენმა ქვეყანამ თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობის მეოხებით შეძლო საბჭოთა შეიარაღებული ძალების ალეჯურვა შესანიშნავი საბრძოლო ტექნიკით, ხოლო ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ უზრუნველყო მთელი ძალებისა და რესურსების მობილიზაცია მტერზე საბოლოო და სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ისტორიულმა ფაქტმა ომის ახლანდელ პროვოკატორებს ვერაფერი ასწავლა.

რეაქციონერებს ინგლის-ამერიკის ბლოკიდან არ ძალუძთ ხალხის მასები ჩაბან ახალ ომში ისე, რომ მათ წინაშე არ დასახონ საკმაოდ დამაჯერებელი მიზნები. ამიტომ ისინი ეშვიკინ ავანტიურების პოლიტიკას, აშინებენ ხალხებს ელვისებური ომით და ატომური ბომბების ელვისებური დარტყმებით. ომის ისტერიითა და ატომური დიპლომატიით ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ თავისუფლებისმოყვარე ხალხების რწმენას დემოკრატიისა და პროგრესის ძალებისადმი.

მშრომელთა საარსებო საქიროების ხარჯზე გამალებულმა შეიარაღებამ, საშინელი რეაქციამ და აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა იმედის ღრმა გაცრეცება და აღშფოთება.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა, ჩვენი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უფრო და უფრო აძლიერებენ მთელი პროგრესული კაცობრიობის სიმპათიებს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისადმი, განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონასა და ავტორიტეტს. „ჩვენს დროში,—ამბობდა ამხანაგი სტალინი XVIII პარტიეულ ყრილობაზე ბურჟუაზიული პოლიტიკოსების მისამართით, —არც ისე ადვილია ერთბაშად აიწყვიტო თავი და პირდაპირ გადაეშვე ომში ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებებს, ანგარიში არ გაუწიო საზოგადოებრივ აზრს“.

• • •

საბჭოთა არმია, — დიდი ხალხის პირმშო — ცხოვრობს თავისი დიდი სამშობლოს ცხოვრებით. ჩვენს ქვეყანაში მძლავრი შრომითი აღმავლობა თავისი სამშობლოსადმი კეთილშობილი სამსახურის შესანიშნავი მაგალითია, რომელიც აღაფრთოვანებს საბჭოთა მეომრებს საბრძოლო და პოლიტიკური სწავლების კიდევ უფრო მაღალი ხარისხისათვის საბრძოლველად. საბჭოთა მეომრები ამყოფენ შრომითი გამარჯვებებით სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე, ისინი მათში ნედავენ თავისი დიდი სამშობლოს მზარდ ძლიერებას, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ. საბჭოთა მეომრები ამყოფენ იმით, რომ ეკუთვნიან მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მტრების ხრიკებს. თავისი სამშობლოს ერთგული დაცველები, ისინი ყოველთვის მზად არიან ყოველგვარ პირობებში დაიცვან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები. მთელ თავიანთ ძალობს ისინი ახმარენ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვით ძლიერების წამოდგომ განმტკიცებას. მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის მარშალი
ლ. გოვოროვი

ევკალიპტის კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეები, ტყესაცავი სადგურები, საბჭოთა მეურნეობები, სატყეო მეურნეობისა და მტს-ების მუშაკები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 14 თებერვლის ბრძანებულებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ევკალიპტის კულტურის განვითარების დარგში მიღწეულებისათვის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“. ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით ისინი კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ევკალიპტის კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

ზუგდიდი

ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ა. როგავამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული ბრძანებულების განსახილველად მიძღვნილ კრებაზე განაცხადა:

— ეს ბრძანებულება მოგვიწოდებს მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოვიჩინოთ ევკალიპტის კულტურისადმი. ჩვენს კოლმეურნეობას ყველა საშუალება აქვს, რომ წელს გავაშენოთ 70.000 ძირი ევკალიპტი, ხოლო 80.000 ძირისათვის მოვაწყოთ სანერგე, გარდა ამისა, დარგული მცენარეები შევინარჩუნოთ 90 პროცენტით.

ამ კოლეგიურობის მეშვიდე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. ქადარია) იკისრა 1945-1950 წლებში დარგოს 35.000 ძირი ევკალიპტი და კარგი მოვლის შედეგად გაახარის ნარგავების 95 პროცენტი.

ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ოლოხიდის“ ბრიგადირმა მ. ქადარიამ იკისრა დარგოს 25.000 ძირი ევკალიპტი. ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე კოლმეურნეებმა ფ. დარასელიამ, ფ. ძაძუამ და ს. დარასელიამ.

მთლიანად კოლმეურნეობის ვალდებულებაა — დარგოს 50.000 ძირი ევკალიპტი, ხოლო 100.000 ძირისათვის მოაწყოს ევკალიპტის სანერგე და დარგული მცენარეები შეინარჩუნოს 90 პროცენტით.

სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა წელს დარგოს 30.000 ძირი ევკალიპტი და მოაწყოს სანერგე 90.000 ძირისათვის.

ახალი ვალდებულებები უპასუხეს ბრძანებულებას სატყეო მეურნეობის მუშაკებმა. მტყეევებმა ნ. კიტიამ და ა. წურწუმიამ იკისრეს ჭურიის უბანში დარგონ 10.000 ძირამდე ევკალიპტი თვითეულმა და უზრუნველყონ მისი გაბარება 90 პროცენტით.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ბრძანებულების პასუხად იკისრა წელს დარგოს 150.000 ძირი ევკალიპტი, ხოლო 200.000 ძირი ევკალიპტისათვის მოაწყოს სანერგე.

წალენჯიხა

ახალი ვალდებულებები იკისრეს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა. ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი გ. შერიზია) პირობა დადო დარგოს 80.000 ძირი ევკალიპტი და მოაწყოს აგრეთვე 60.000 ძირი ევკალიპტის სანერგე. ავაკალელიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ფიფიამ იკისრა წელს გააშენოს 25.000 ძირი ევკალიპტი და კარგი მოვლით უზრუნველყოს 90 პროცენტით მისი შენარჩუნება.

ჩხოროწყუ

მშრომელები აღფრთოვანებით ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 14 თებერვლის ბრძანებულებას. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ევკალიპტის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. სოფელ ლეწურწუმის კოლმეურნეობა „განათლების“ ბრიგადირმა დ. წურწუმიამ იკისრა 30.000 ძირი ევკალიპტის გაშენება და 90 პროცენტით მისი გახარება, ხოლო მერგოლურმა ამხ. სოსლიამ 15.000 ძირი ევკალიპტის დარგვა.

ეს კოლმეურნეობა საერთო კრების გადაწყვეტილებით წელს დარგავს 50.000 ძირ ევკალიპტს და გაახარებს სულ მცირე 85 პროცენტს.

აბაშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 14 თებერვლის ბრძანებულების პასუხად აბაშელი კოლმეურნეები პირობას დებენ, რომ რაიონში წელს დარგავენ 300.000 ძირ ევკალიპტს, ხოლო 400.000 ძირი ევკალიპტისათვის მოაწყობენ სანერგეს. 1950 წელს ევკალიპტის ნარგავებს გაადიდებენ 500.000 ძირამდე, ხოლო ერთი მილიონი ძირი ევკალიპტისათვის მოაწყობენ სანერგეს.

სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობა „ლენინის გზითის“ თავმჯდომარემ შ. ფასაძემ კოლმეურნეობის სახელით იკისრა დარგოს 50.000 ძირი ევკალიპტი და მოუაროს მათ ისე, რომ ვახარებულ და შენარჩუნებულ იქნას ნარგავების 90 პროცენტი.

სოფელ ონტოფოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს წელს გააშენონ 60.000 ძირი ევკალიპტი და დარგული მცენარეთა გახარება უზრუნველყონ 90 პროცენტით. ასეთივე ვალდებულება იკისრა სოფელ სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ.

მზადება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 14 იანვრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე ამჟამად მიმდინარეობს 1948 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება და წინასწარი მზადება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის.

ამასთან დაკავშირებით პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში განიხილა კვების, ხოროცისა და რძის მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს, ტრესტ „სამშენისა“ და „თბილისშენის“ სამშენებლო კანტორების 1948 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივი შემოწმებისა და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადების საკითხი. გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნულ საწარმოთა უმრავლესობაში როგორც გასული წლის ხელშეკრულებათა შემოწმება, ისე ახალ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. შესრულებული არ არის ხელშეკრულების მთელი რიგი მუხლები. თბილისის თამბაქოს პირველ და მეორე ფაბრიკებში 10 თებერვლისათვის ხელშეკრულებათა შემოწმება დაწყებული არ იყო. ტრესტი „თბილისშენის“ სამშენებლო კანტორებში შემოწმების დაგვიანებით შეუდგნენ, ტრესტ „სამშენის“ სამშენებლო კანტორებში შემოწმების ჩატარებისას არ შეუფროვებიათ წინადადებანი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში გასათვალისწინებლად. ამავე ტრესტის ყერამიკული კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე მოისმინეს კომბინატის დირექტორის ამხ. ვ. მელაძის მოხსენება ხელშეკრულების შესრულების შედეგებზე და განუხილველად ცნობად მიიღეს იგი.

თბილისის მიქოიანის სახელობის ხორეკომბინატში საკარნხნო კომიტეტისა და ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილმა შემმოწმებელმა კომისიამ შეუმოწმებლად დატოვა საკარნხნო კომიტეტისა და ადმინისტრაციის მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მთელი რიგი მუხლები. როგორც ზემოთაღნიშნულ, ისე საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანაში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებაში მონაწილეობას არ იღებენ მუშათა ფართო მასები.

გასული წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება და ახალ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადება დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა კომუნალურ-საბინაო მშენებლობის, საშენ მასალათა წარმოების, ხოროცისა და რძის მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს დაავალა ქმედითი დახმარება გაუწიონ ზემოაღნიშნულ საწარმოთა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში, შემოწმების პროცესში მიაღწიონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შეუსრულებელი მუხლების შესრულებას, მეტი ყურადღება მიაქციონ ახალი ხელშეკრულებებისათვის მუშათა წინადადებების შეგროვებას.

კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს 1948 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივ შემოწმებას და ახალ ხელშეკრულებათა დადებისთვის მზადებას ბინისის თამბაქოს პირველ და მეორე ფაბრიკებში.

გავაძლიეროთ მეშახტე რაციონალიზაპორების შორის მუშაობა

გასული 1948 წელი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის მკვეთრად გაძლიერების პერიოდი იყო. წლის განმავლობაში მეშახტე რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა შემოიტანეს 217 წინადადება, რომელთა რეალიზაციაც დაუყოვნებლივ იქნა დაწყებული. განსაკუთრებით მრავალი წინადადება შემოვიდა რაციონალიზატორული ორთვიური განმავლობაში, რომელიც გასულ ზაფხულს ჩატარდა.

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მთავარმა მექანიკოსმა კ. მარდალეიშვილმა შემოიტანა წინადადება მომზხეტი ტრანსპორტიორის დამუშავი მოწყობილობისა და ღერძის კონსტრუქციულად შეცვლის შესახებ. ამ წინადადების განხორციელებით ტრანსპორტიორის ნაყოფიერება შესამჩნევად გაიზარდა და მისი მუშაობის ხანგრძლივობა ერთნირად გადიდდა. საყურადღებო წინადადება შემოიტანა იმავე ტრესტის ინჟინერმა ვ. ტორონჯაძემ. მისი წინადადებით ქვანახშირის ჩამოსაშვებ შუტოებში უნდა მოეწყოთ ღარები, რაც ერთის მხრივ გააადვილებდა მონგრეული ქვანახშირის ჩამოტანას ზედა ჰორიზონტიდან ქვედით და მეორე მხრივ საშუალებას მოგვცემდა შუტოებისა და სამიმოსვლო ბილიკების შეკეთება ერთი მეორესგან დამოუკიდებლად გვეწარმოებინა ისე, რომ ქვანახშირის ტრანსპორტირება არ შეფერხებულიყო. ამ წინადადების რეალიზაციამ შარშან შახტს 75.000 მანეთი თანხა შესძინა.

ძალევ საყურადღებო წინადადებები შემოვიდა ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტში. მარტო ინჟინერ ლ. სოლოვიოვის ერთი წინადადების განხორციელებამ ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტს სტალინის სახელობის შახტს შარშან 22.000 მანეთი ეკონომია მისცა. იქვე გამაუხვებელი ფაბრიკის ცელის ინჟინერებმა ამხ. პურიშევმა და ლუტაენმა შეიტანეს წინადადება მინდვრის შპატის კაკის ქვით შეცვლის შესახებ. ამ ახალი წინადადების განხორციელებით მიღებულ იქნა 35.000 მანეთი ეკონომია.

შახტებში დიდი ყურადღება ექცევა მცირე მექანიზაციის განხორციელებასაც. ტყიბულში, მაგალითად, სტალინის სახელობის შახტში განხორციელებული მეშახტე გ. შარვაძის წინადადება საბაგირო გზის ვაგონეტის ავტომატურად გადატრიალების შესახებ. იქვე შახტის მექანიკოსის შ. კაკაბაძის წინადადებით სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დროს გამოყენებულია გადასატანი სარკინიგზო ლიანდაგი, რაც შესამჩნევად ზრდის წინსვლის ტემპს.

მოლიანად საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში 1948 წელს განხორციელებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა შედეგად მიღებულ იქნა 1.255.000 მანეთი ეკონომია.

ამ მიმართულებით წელს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ და სახელმწიფოს მეტი თანხის ეკონომია მივცეთ.

ი. ფაარესაშვილი
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ინჟინერი

განვამტკიცოთ მიღწეულები. აღმოვუხვრათ ნაკლოვანებანი

ახალი წლის პირველი თვე ტყიბულელ მეშახტეთა შრომითი აღმავლობით აღინიშნა. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაწლილი ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა ინვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

შახტებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა გელათის შახტმა, რომელმაც ინვრის დავალება 26,3 პროცენტით გადაჭარბა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით სახელმწიფოს რამდენიმე ათასი მანეთი დაგრეგება მისცა.

მოწინავეთა რიგებშია სტალინის სახელობის შახტი. ინვარში ამ შახტმა ფაბრიკა-ქარხნებს სამი ათასი ტონით მეტი ქვანახშირი გაუგზავნა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ინვარში დაწინაურდა ლენინის სახელობის შახტიც, რომელიც სისტემატურად ჩამორჩებოდა გასული წლის მეორე ნახევარში. შახტის ექვსი საეპლოატაციო უბნიდან ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება ოთხმა უბანმა შეასრულა.

გასული წლის დეკემბერში მოპოვებული წარმატება ვერ შეინარჩუნა მოლოტოვის სახელობის შახტმა, რომელმაც ინვარში ქვეყანას ოთხი ათას ტონამდე ქვანახშირი დაკარგა.

ქვანახშირის ამოღების საქმეში ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტისა და მისი შახტების მუშაობაში სეროიზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა და მეტად ჩამორჩება სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები. მაგალითად, ძირითად სამთო გამონამუშევართა დავალება ვერ შეასრულა ვერც ერთმა შახტმა. მათ შორის გელათის შახტმა ძირითად სამთო გამონამუშევართა გეგმა შეასრულა 33,3 პროცენტით, ლენინის სახელობის შახტმა — 29,7 პროცენტით, ხოლო მთლიანად ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა — 34,3 პროცენტით. სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმების შესრულებას უყურადღებოდ ეკიდებიან ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტისა და შახტების ხელმძღვანელები.

შახტების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ინვარიში მოპოვებული მოგებების განსამტკიცებლად და სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ვ. ციციკიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თავისი არმიის საბრძოლო საქმეებს!

საბჭოთა ხალხის დიდება

ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს სჯიდება მშვიდობა, უშიშროება, რათა ჩვენი მონაგარი დაცული იყოს ცხოვრების ყველა დარგში, რათა კიდევ უფრო განვითარდეს და აყვავდეს ჩვენი სოფლის მეურნეობაა თუ ინდუსტრია, მეცნიერებაა თუ ხელოვნება.

ხოლო ამისათვის საჭიროა გვყავდეს მძლავრი საბჭოთა არმია. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ჯერ კიდევ არსებობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც კვლავ ეშუქრებიან თავდასხმით ჩვენს აყვავებულ მამულს, ჩვენს დიდ მიღწევებს, თვით ჩვენს იდეალებსა და მოძღვრებას.

დიდებული საბჭოთა არმია ყოველივე ამას უდგას დარაჯად. მას აქვს სახელოვანი და დიდი წარსული. მან პირველად ლენინის და სტალინის ხელმძღვანელობით სამოქალაქო ომის წლებში დაიცვა გარეშე მტრებისაგან ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, შემდეგაც მუდამ მედგრად იგერიებდა ყოველგვარ თავდასხმებს თავაშვებულ მტერთაგან, ბოლოს მან გაანადგურა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონის მტაცებლური არმიები.

ამჟამად საბჭოთა არმია უფრო ძლიერი, მტკიცე და მონოლითური, ვიდრე ოდესმე.

და ან, დღეს, მისი არსებობის 31 წლისთავზე ჩვენ კვლავ შევხარით მას, მისი სიყვარულით აღვსილია ჩვენი გული, ვინაიდგან ჩვენი სასიკეთოდ საბჭოთა არმია არის გამომბატეკი მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის დიდებისა.

ფალავა დადიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების პატრიოტული შრომით აღფრთოვანებულ ჩვენს მეომრებს შეგნებული აქვთ ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მათ აკისრიათ ხალხის, პარტიისა და დიდი სტალინის წინაშე.

პასუხისმგებლობის ეს გრძნობა ყოველდღიურად ვლინდება მეომართა პრაქტიკულ, ჯარისკაცურ საქმეებში. საბჭოთა არმის მეომრები თავდადებით იბრძვიან საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლაში ახალ-ახალი წარმატების მოპოვებისათვის. ამის შედეგად დღითიდღე იზრდება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადსანთა რიგები. ჩვენი ჯარისკაცები და სერჟანტები გულმოდგინე შრომითა და სწავლით ღირსეულად ასრულებენ სოციალისტური სამშობლოს მამაც დამცველთა მოვალეობას.

საბჭოთა მეომრების პასუხისმგებლობაზე, მათ მაღალ შეგნებულობაზე მეტყველებენ მშვიდობიანი დროის საბრძოლო სწავლების სასახელო საქმეები.

აი კომუნისტი ეფრემიტორი გიორგი ვალშვილი. იგი სატანკო ეკიპაჟის მოწინავე მეომარია. ბეჯითად სწავლობს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ყველა საგანს. საოცნოდ იცის სამშობლოს მიერ ჩაბარებული იარაღი, ზუსტი და მარჯვე მსროლელია. ამისთან ერთად ბევრი გითქვა როგორც მოწინავე ფიზკულტურელმა. სანმეშო სწავლითა და დისციპლინით, ფიცისა და მხედრული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით ვალიშვილმა სარდლობის მადლობა და მოკლეკადიანი შვებულება დაიმსახურა, ინახულა შშმლეური-ყაზეგი, ბაეკნი ახალ მშენებლობებს, თანამემამულეთა პატრიოტულ შემოქმედებით შრომას და ახალი ენერგიით, ახალი მისწრებებით აღსავსე დაბრუნდა თავის ამხანაგებთან, რათა კიდევ უფრო უკეთესი სწავლითა და მეომრული მოვალეობის სანმეშო შესრულებით ასახელოს დედა-სამშობლო.

არანაკლებ სასახელო საქმეებით ხედავენ საბჭოთა არმიის დღეისასწაულს ომ ქვეგანაყოფის მეომრები, სადაც პარტორგანიზაციის მდივანია ამხ. ა. პაჭკორია. აქ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მიზანსწრაფულად ემსახურება საბრძოლო სწავლის ამოცანებს. კომუნისტი მეომრები საქმით უზრუნველყოფენ თავიანთ ავანგარდულ როლს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში, მხედრული მოვალეობის შესრულებაში. აქ კომუნისტი მეომრები მხოლოდ ფრიადზე და კარგზე სწავლობენ. საამაყო მეომრები არიან კომუნისტი სერჟანტები ხაჩიძე, კიკაჩეიშვილი, გოროზაა.

უხვი მოსავლის მიღებისათვის კომკავშირული შოთა გაბილია საბჭოთა მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა. იგი ასეთივე შრომითს მამაცობას იჩენს საბჭოთა არმიის რიგებში.

სამშობლოსადმი ჩვენი მეომრების ღირსეული სამსახური, რაც ყველაზე სამაგი მოვალეობაა თვითეული საბჭოთა მოქალაქისათვის, დამკარგებელია მათს მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობაზე. ჩვენი მეომრები იზრდებიან საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. კომუნისტი სერჟანტები კაბანაძე და პაიკაძე, კომკავშირელი სერჟანტი ჩალიგავა და სხვები ღრმად სწავლობენ ჩვენი დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს, ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიას.

სოციალისტური სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მეომრები შემდგომშიც დაუღალავად იბრძოლებენ თავიანთი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად, რათა ღირსეულად ემსახურონ დედა-სამშობლოს და ფხიზლად დაიცვან კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

მაიორი პ. შამათავა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. სურათზე: ქვეითი სახსნელების კურსანტები გ. ივარდავა (მარჯვნივ) და ვ. კრასნოკუტსკი ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

ფოტო ეკ. გინზბურგისა.

მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს

მძიმედ დატვირთული ავტომანქანა უკანასკნელად ახმაურდა და სოფლის კოოპერატივის კარებთან შეჩერდა.

კარლო პრიედე ფუჩქარებლად წამოდგა სკამიდან ბაღჩაში, სადაც მანქანის მოლოდინში ებაასებოდა თავის ძველ მეგობარს—სოფლის მჭედელ ვეცინშს იმაზე, რომ შესაძლებელია კიდევ ერთი სალეწი მანქანა შეკეთდეს მინდვრად მოგროვილი ტანსაცმის ნამსხვრევებს თუ გამოვყენებთ.

— ეჰ, წავიდე, მივხედო, რომ ფრთხილად გადმოტვირთონ. თუ თვითონ თავზე არ დადექი საქმეს, ხომ იცი...

მაგრამ შოფერს — ახალგაზრდა, ჭნით გარუჯულ იანჩის უკვე მოჰქონდა კვადრატულად შეკრული დიდი ამანათი.

— ეი, თავმჯდომარეკ, მიიღე ძვირფასი ტვირთი! შეხე, რა მომიტანია შენთვის!

— სწორედ რომ ძვირფასია! განა რადიომიმღებს ყოველდღე უგზავნიან შეფები კოლმეურნეობას?!

— ეს საჩუქარი კოლმეურნეობას, ხოლო დღეს პირადად შენთვისაც არის... გადმოტვირთე შენ თვითონ.

კარლისმა ალმაცერად შეხედა მომღიმარ იანჩის, — ისას ხუმრობს ეს ყმაწვილიო,—გადახედა მანქანის ძარას. ის-ის იყო ერთადერთი მეზავრი წამომდგარიყო მანქანის სიორმიდან და კარლისისაკენ ზურგშექცეული იბერტყავდა მოსასხამს მტვრისაგან. ეცნაურა კარლისს მისი მოყვანილობა—ეს არწივისებური სახის პროფილი სამხრეთელისა, ეს შავგრემანი ხუჭუჭი თმა, ეს თამამი და გაბრწყინებული ვამოხედვა, ეს ციცხლოვანი მომღიმარე თვალები. „ღმერთო ჩემო! და ეს ხომ ის არის!"—გაუელვა თავში კარლისს.

— ამხანაგო მეთაურო!

— თავისუფლად, თავისუფლად. მე ახლა თვითონ რიგითი ვარ!—მეზავრი მსუბუქად ჩამოხტა, ხელი მოხვია კარლისის განიერ მხრებს და მხიარულად შეანჯღრია იგი.—აბა, მომახსენე, რა მდგომარეობაა პურის ფრონტზე. როგორც კი საქართველოდან ჩამოველ რიგაში დასასვენებლად, მაშინვე გავიგე ამხანაგებისაგან, — ამბობენ, კოლმეურნეობის ხელმძღვანელად გამხდარხარ!

— თავმჯდომარედ ამირჩიეს, — ხოლო კოლმეურნეობის დაარსებამდე უბნის რწმენებულად ვიყავ. აქეს მაშინ ჩემი უბანი ყრილობაზე, ტუკუმში. ამბობდნენ საუკეთესოა მაზრაშიო.

ისინი გაემართნენ ახალმოთიბულ ველზე გაჭიმული გზით. იდგა მცხუნვარე მზის ქვეშ გრილა-გრილად დაზვინული ნათიბი იონჯის ნელტკბილი სუნი. სტუმარი შესცქეროდა მის გვერდით მიმავალ კარლისს. აი ასე მეგობრულად, მხარდამხარ მიაბიჯებდნენ და განა მხოლოდ მიაბიჯებდნენ, ისინი მაშინ, დიდი სამამულო ომის იმ მძაფრ დღეებში... და სწორედ ამ ადგილებზე.

ლოყაწითელა ველტაშ, გაიგონა რა ბრენცისის ყეფა, გამოიხედა ფანჯარაში. გახარებული ძაღლი წკმუტცეიო გარბოდა პატრონთან შესაგებებლად.

„მაგრამ ეს მეორე ვინ არის?!" — გაიკვირვა ველტაშ. და ვიდრე ქმარი შინ შევიდოდა, სარდაფში ჩაირბინა. „კარლისს კვლავ მოჰყავს ვინმე ქალაქიდან ჩამოსული, ინსტრუქტორია ალბათ. მოვიდეს, ნახოს — როგორ ცხოვრობენ ახალგაზრდა კოლმეურნეები; ცარიელ სუფრასთან არ დავსხვამ!"

სტუმარი წუთით შეჩერდა ოთახის კარებთან, მიმოიხედა. დიდი ხნის ნამგზავრს განსაკუთრებული სიამოვნება აგრძნობინა სუფთა, კარგად მორთულმა ოთახმა.

— კარგად ცხოვრობ? თვით ააშენე?

— აბა, მარტო როგორ შევძლებდი. მეზობლები მომეშველნენ. პირველ წელს მიწურებში ვცხოვრობდით. შემდეგ მთელი თემი სულ ახლად აშენდა.

ოთახში ეკიდა ფერადი პლაკატი, რომელზეც იდიმებოდა ახალგაზრდა კოლმეურნე გოგონა. მას მკლავები შემოეხვია ოქროსფერი პურის დიდი ძნისათვის, ხოლო პლაკატის გვერდით, კედელზე...

შეამჩნია რა კარლისმა სტუმრის გაშეშებული, გაოცებული მზერა ერთი წერტილისაკენ, გადადგა ნაბიჯი წინ და ჩამოხსნა კედელზე დაკიდებული არმიული ზამთრის ქუდი.

— გაეცნობათ ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო?

— კარლის, ნუთუ შემოგვნახა!?

— მამ, როგორ იქნება... ასეთი ძვირფასი რამ, გამოთხოვებისას, რომ მისახსოვრეთ!..

და მოზღვავდა მოგონებანი იმ მძაფრ დღეებზე...

* * *

... ეს პატარა ამბავი მოხდა ბალტიისპირეთის ფრონტზე, სახელგანთქმულ ლატვიურ დივიზიაში.

ბლიდაჟში ერთადერთ კაცს—რადისტს ჰქონდა უფლება ხმა ამოეღო. სხვა ყველა დუმდა. ეს იყო დუმილი პასუხის მოლოდინში. ერთი სიტყვა მაინც, ერთი სიტყვა იმ წუთებში რად ღირდა! კაპიტან ოზოლნიეკსის ასეული მოსწყდა ბატალიონს. რამდენიმე წუთში გაჰქრა კავშირი. აღარ ისმოდა მისგან არაფერი. სამი მეკავშირე გაეგზავნა,—უკან კი არც ერთი არ დაბრუნებულა. მაღლობ 91-ს უნდა გადაეწყვიტა შეტევის ბედი და ეს მაღლობი ოზოლნიეკსის ასეულს უნდა დაეკავებინა. ასეული კი დუმდა...

ღელვადა პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი პიეესისი, რომელსაც „სიკეთიანის ზონა" მუცლის ხოხვით გამოევლო, ვიდრე ბატალიონის შტაბში მოვიდოდა, რათა დაეჩქარებინა საბრძოლო ოპერაცია. იგი ყოველ წუთს საათს დასცქეროდა, ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა. თითებს იმტვრევდა, ნერვიულობდა. წუთებს უნდა გადაეწყვიტა საქმე. ბლიდაჟში კი კვლავ ისმოდა რადისტის მონოტონური, რადაც მუდარის მაგვარი სიტყვები:

— ვოლგა! ვოლგა!.. მე თერგი ვარ! მე თერგი ვარ!.. რატომ არ მიპასუხებ? რატომ არ მიპასუხებ?.. ვოლგა! ვოლგა!..

ბარეთ ქარი ღმუოდა. იდგა თოვლის კორიანტელი. ყველფერს აურეზდა ყუმბარის ჭექა-ქუხილი, ტყეების წივილი, ლითონის ნამსხვრევთა ყეფი. რადისტი კვლავ განაგრძობდა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი!.. ვიძლევი აწყობას!.. ერთი, ორი, სამი!.. ვოლგა! ვოლგა!..

„ვოლგა" კი სდუმდა და პასუხს არ იძლეოდა. ბატალიონის შტაბის ბლინდაჟთან სიკვდილის კალთებს იბერტყავდა მტრის ყუმბარები. ირგვლივ ყოველივე გამოთიფული იყო.

დრო არ ითმენდა. პოლკოვნიკი პიეესისი, რომელიც მანამდე გამოუთქმელ მღელვარებას შეეპყრო, ზეზე წამოიჭრა, საათს დაჰიერდა და განკარგულება გასცა:

— ბატალიონის მეთაურის მოადგილე, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი აბაშიძე!..

აბაშიძე წამოხტა და პოლკოვნიკის წინ გაშეშდა.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— ...დასძრავ ასეულს იერიშზე!

ვინ იცის, რატომ,—აბაშიძეს გაეღიმა. მერე მან ტანში ჟრჟოლა იგრძნო. მას დროც არა რჩებოდა ეფიქრნა. ბრძანება გაიმეორა და ბლინდაჟიდან გავიდა.

— ხოხვით, ამხანაგო მეთაურო, ხოხვით! — მოესმა აბაშიძეს თავისი მეკავშირის, ახალგაზრდა ლატვიელ პრიედეს ნაცნობი, მზრუნველი ხმა.

— დაბრუნდი, დაბრუნდი უკან კარლის!—მან პირველად მიმართა თავის ხელქვეითს სახელით,—კიდევ გამოგვადგები!..

აბაშიძის ბრძანება იქნებ კიდეც შეესრულებინა პრიედეს, რომ საქმე მხოლოდ მის პირად საფრთხეს შეეხებოდა, მაგრამ მას ხომ მეორის სიცოცხლეზე ზრუნვაც ეკისრა. მით უფრო: ჩვეულებრივ მკაცრი მეთაურისაგან წარმოთქმულმა მზრუნველმა, თბილმა სიტყვებმა გული აუჩუყეს მას.

— არა ამხანაგო მეთაურო, არ შეიძლება თქვენი გაშვება მარტო, ხომ ხედავთ როგორი ცეცხლია,—უპასუხა პრიედემ მეთაურს და ჩაბღუჯა ავტომატი ღონიერ ხელებში, ზეიმართა ოდნავ და გასცურა თოვლში გვერდულად.

ისინი მიიწევდნენ წინ ხოხვით, თითქმის ცოცვით როგორც ზღვაში, და უცად სულ ახლოს იღლვა, იქექა. აბაშიძეს თვალთ დაუბნელდა, როდაც სიმსუბუქე იგრძნო, თავზე მიწნარეკვი თოვლი გადმოეყარა.

— ქუდი სად,ია?—შესძახა მან მეკავშირეს,—თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა და თავიდან გადამბადა იგი!..

— თქვენ, უთუოდ, დაჭრილი ხართ თავზე!—შესძახა მეკავშირემ და მეთაურთან მიიჭრა.

„დაჭრილი!—გაიფიქრა აბაშიძემ,—იქნებ სასაკვდილოდაც, — აი ახლა ითქრიალებს სისხლი",—იგი ეძებდა ჭრილობას თითებით, — აი სადაცაა ჭრილობაში ჩაეფლობა თითი, სადაცაა სისხლით შეიღებება მისი ხუჭუჭთმიანი თავი, მისი შავგრემანი სახე. მაგრამ არა! — არც ტკივილი, არც სისხლი, მხოლოდ ყურებში კი საშინელ ხმაურს გრძნობდა.

პრიედე დაუწვდა, თოვლგადანაყარი ქუდი აიღო, მკლავზე დაიბერტყა და მეთაურს მიაწოდა.

წელში მოხრილნი, სირბილით შეიჭრნენ აბაშიძე და პრიედე ასეულის გაანგარებაში. ასეული გაწოლილიყო ტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ. დაჭრილი ასმეთაური ოზოლნიეკსი სისხლით ღებავდა თოვლს. აბაშიძემ დასძრა ასეული, რომელმაც დაიკავა მაღლობი 91...

მოულოდნელად აბაშიძემ დაინახა სირბილით მომავალი პოლკის მეთაური პიეესისი. პოლკოვნიკის მოახლოებისთანავე აბაშიძე სწრაფად წამოდგა თოვლის სანგრიდან, მისცა სამხედრო სალამი და მკექარე ხმით მოახსენა:

— მაღლობი ჩვენია. მტერი უკუქცეული და საკმაოდ შებერტყილიცაა. მძიმედ დაჭრილი ოზოლნიეკსი ზურგში გაიგზავნა...

აბაშიძემ ვერაფერი ამოიკითხა პოლკოვნიკის სახეზე — ვერც მოწონების, ვერც საყვედურის მაგვარი რამ. პოლკოვნიკს თვალი მიეშტერებინა აბაშიძის ქუდისათვის.

— ზურგისაკენ! — დასჭექა პოლკოვნიკმა.

„რა დამიშავებია?" — გაუელვა თავში აბაშიძეს და მიტრიალდა.

პოლკოვნიკი მიუახლოდდა აბაშიძეს, თავიდან ზამთრის ქუდი მოხადა, მხარზე ხელის მსუბუქი დარტყმით თავისკენ შემობრუნა, ირგვლივ მდგომთ გადახედა, კვლავ აბაშიძეს მიაპყრო თვალები და სახეზე ღიმგადაკრულმა ძმიმედ, დამარცელით უთხრა:

— ასი წელი რომ იცოცხლო, ეს ქუდი არ დაჰკარგო!

აბაშიძემ მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ მისი ზამთრის ქუდი მტრის ყუმბარის ნამსხვრევებისაგან უკან დაძენძილი, ხოლო გადასაკეცთან გაგლეჯილი იყო.

* * *

...ოთახის სიწყნარეს საათის მონოტონური ტუკტუკი-და არღვევდა.

ორი მეგობარი ესიტყვოდ მისჩერებოდა ზამთრის ქუდს, რომლის დაფლეთილი, დაცხრილული გადასაკეციდან მოსჩანდა ბამბის ფთილები. ერთმანეთის გვერდით იდგნენ აქ ყოფილი ბატალიონის მეთაურის მოადგილე, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ქართველი ლევან აბაშიძე და მისი მეკავშირე ჯარისკაცი ლატვიელი კარლის პრიედე.

— დაბრძანდით ამხანაგო მეთაურო, გასინჯეთ კურლანდიური პური, — დაარღვია მყუდროება პრიედემ, — თითქოს უპასუხოო უსიტყვო ნიშანს ცოლისას, რომელიც იდგა სადილით დატვირთულ გაშლილ სუფრასთან. — ხვალ დილით ჩვენ მაღლობ—91-საკენ გავიელნო. ოჰ, ხორბლის რა კარგი მოსავალი მწიფდება იმ მაღლობზე, სტალინეკური მოსავლის ჰექტარები გვაქვს, სტალინური მოსავალი მოგვყავს...

ვლადიმერ თოკრდუა

რიგა—თბილისი.

შრომაში, როგორც ბრძოლაში

რკინიგზის კასპის სადგურიდან ის მშობლიური სოფლისაკენ გეეშერა. ქვემო ჭალისაკენ წასული დემობილიზებულ ჯარისკაცს, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და ოთხი საბრძოლო მედლით მკერდდაშვენებულს, იმჯერად ნაცნობი არ შეხვედრია. მარტო მიმავალს საამო ფიქრისთვის მიეცა თავი, მაგრამ თითქოს თანამგზავრს ეხმიანებოო, წამოძახა:

— ლევან ბაზლიძეკ, აი შენი გზა მშობლიური სოფლისკენ, ოჯახისკენ, კოლმეურნეობისკენ!

ახლა ლევან ბაზლიძეს, სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილეს, ვეტერანთან მხარში დგომიდან, დაეფიქრებოდა არა მარტო ოჯახთან შეხვედრის ტკბილი ფიქრები, არამედ რაღაც უფრო ყურთმომბილი რამ: რა სარგებლობას მოუტანს კოლმეურნეობას, სამშობლოს მშვიდობიანი შენებლობის დროს. და გზად მიმავალი ომგადახდილი ვეკაკაცი ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ფიქრებით ეფიცებოდა:

— ვიომე, მაგრამ არ დავღალვარ. მოვდიეარ გამარჯვებული, მოვდიეარ და ჩავდგები უხვი მოსავლისათვის მოლაშქრეთა რიგებში!

ვახშმობის დრო იყო, როცა ლევან ბაზლიძემ ფეხი შედგა მის მიერ დიდი ხნით მიტოვებულ ოჯახში. ფართოდ გაღილი ბაზლიძეთა სახლის კარი. ეს იყო აუწერელი სიხარული ყმაწ...

კოლმეურნეობაში მალე შეუდგნენ ბრიგადების დაკომპლექტებას. ბაზლიძეს მემანდურეობის მეორე ბრიგადა ჩაბარეს. ბრიგადამ, რომელშიც 42 კოლმეურნეა, დასახული შრომაში გაიტარა გასული სამეურნეო წელი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სახელი მოიხეკა: ეურუყა მოწეულმა 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი სამინდი მოიყვანა და 8 ცენტნერი ლუბინი. ქვემო ჭალის პირობებში ეს კარგი მოსავალია. გადაჭარბებით შესრულდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმაც. ბრიგადის სტაბანოვლოთაგან ყველაზე საამაყონი არიან ტასო გეთაშვილი, ნინო ტურტიელაძე, პელაგია რთველაძე და ვასილ ბაზლიძე.

ლევან ბაზლიძის ბრიგადამ სანიმეშოდ დათესა საშემოდგომო ხორბლეული 52 ჰექტარზე. ახლა ბრიგადა მზადაა გაზაფხულისათვის: სიმინდს დათესავენ 17 ჰექტარზე, რაც შარშანდელთან შედარებით ორი ჰექტარით მეტია. შაქრის ჭარხლის დასათესავად მზრალად მოხნულია 6 ჰექტარი. თესლბრუნვის გეგმის მიხედვით მრავალწლიანი ბალახები დათესილება ეკვს ჰექტარზე.

ასე ხედავს ლევან ბაზლიძე სამეურნეო არმიის 31-ე წლისთავს. ის ბრიგადის სახელით პირობას დებს, რომ მიმდინარე წელს თვალსაჩინოდ გაზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს.

* * *

ადრიანი გაზაფხულის დილა იყო, როცა სამშობლოს არმიიდან დაბრუნებული ოსიკ ოსიბაძე გორის რაიონის სოფელ თორტიზის ჩარკვანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბერძნიშვილი ოსიბაძეს ობამდეე იცნობდა, მაგრამ ახლა ის უფრო დაეკაკაცებული ჩანდა. მათი საუბარი გულთბილი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ გამგეობამ ოსიბაძეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდო.

ბრიგადას, რომელშიც 32 კოლმეურნე შეიყვანეს, მოსავლიდან ჩაბარეს 41 ჰექტარი მარცვლეული, 10 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, 4 ჰექტარი ზოსტეეული კულტურები.

გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. ოსიბეძე ბრიგადის წევრებს ხშირად გაახსენებდა:

— აბა, მეგობრებო, არ დაივიწყოთ სამი საბრძოლო სიტყვა: შრომაში, როგორც ბრძოლაში! მე ნათქვარი კაცი ვარ, კაკაესის დამცველთა რიგებში ვიუავი... ჩვენი მიწისაგან, რომელიც ვერაგ მტერთა შემოსევისაგან მკერდით დავიცავით, რაც შეიძლება დიდი მოსავალი უნდა მივიღოთ.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები მტკიცედ ასრულებდნენ ბრიგადირის მოთხოვნას. მათ თვალისჩინებით მოუარეს მარცვლეულსა და შაქრის ჭარხლის ნათესებს. თორტიზაში მდიდარი შემოდგომა დადგა. ამხ. ოსიბაძის ბრიგადამ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 245 ცენტნერისა, 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 42 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად 22 ცენტნერისა. ბრიგადაში განსაკუთრებით დაწინაურდა ამხ. შ. კეთილაძის რგოლი, გმოვლინდნენ უხვი მოსავლის ოსტატები მ. მერაბიშვილი და ნინო სირბილაძე.

ამხ. ოსიბაძე, როგორც მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ოსიბაძის ბრიგადა ღირსეულად გეგებება გაზაფხულს. ბრიგადაში აქედანვე იტვრენ თადარიგს: პოულობენ ახალ საშუალებებს, ანაწილებენ ძალებს. საღამოობით კი, როცა გარეთ თოვს და ყინავს, ახალგაზრდები თბილ ბინაში ეცნობიან მოწინავე საბჭოთა აგრონომიკის მიღწევებს.

თორტიზიდან, ამ ბარაქიანი სოფლიდან, გაისმის ოსიბ ოსიბაძის, მოწოდება:

— შრომაში, როგორც ბრძოლაში!

ეს სიტყვები უსათუოდ მიაღწევენ ქვემო ჭალაში ლევან ბაზლიძესთან. ბაზლიძე ამავეს გაიმეორებს.

და მეც ვფიქრობ: ხომ სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ორმა ომგადახდილმა, მემანდურეობის ბრიგადებს რომ უძღვებიან, საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავი აღნიშნონ ერთმანეთს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით. დაე მათი შეჯიბრების დროშაზე იელვაროს წარწერამ:

— შრომაში, როგორც ბრძოლაში!

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. სურათზე: ნ ნაწილის მოწინავე მეომრები (მარცხნიდან მარჯვნივ) საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის კაპიტანი ი. გოლოვინი, გვარდიის კაპიტანი ვ. ნიკოლაძე და საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის კაპიტანი მ. კარასეევი.

ფოტო ეკ. გინზბურგისა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. სურათზე: ნ. ნაწილის წარჩინებული ოფიცერი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ი. ნიკურაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ინგლის-ამერიკის ბლოკი ცდილობს თავი აარიდოს ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვას

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საკდესი). 18 თებერვალს, რვა თვის შეწყვეტის შემდეგ, მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიამ.

კომისიაში მორიგეობის წესით თავმჯდომარეობს სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი.

როგორც ცნობილია, ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტისა და მისი ქვეკომიტეტის სხდომებზე პარიზში 1948 წლის ოქტომბერში შეეწყვეტათ ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობა იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ თავისთვის ატომური იარაღის უკონტროლო წარმოებისა და აგრესიული მიზნებით მისი მარაგის დაგროვების სრული შესაძლებლობა.

მაგრამ ინგლის-ამერიკის ბლოკმა მოახერხა გენერალურ ასამბლეაში 1948 წლის 4 ნოემბერს გაეტარებინა მისთვის სასურველი რეზოლუცია კომისიის მუშაობის შესახებ ეს რეზოლუცია ქმნის კომისიის მუშაობის განგრძობის მოჩვენებითობას. იგი როდი ითვალისწინებს, რომ ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიამ იმუშაოს ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი ზუსტი კონტროლის დაწესების შესახებ კონვენციის მოსამზადებლად, როგორც სსრ კავშირის დელეგაცია წინადადებას იძლეოდა. რეზოლუცია თუმცა ითვალისწინებს კომისიის მუშაობის განახლებას, მაგრამ მას ზღუდავს კომისიის მუშაობის გეგმის განხილვით და წვრილმანი საორგანიზაციო საკითხების შესწავლით.

კომისიის 18 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში იდგა საკითხი გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციის განხილვის შესახებ.

ინგლის-ამერიკის ბლოკი შეეცადა კომისიის პირველივე სხდომა იმისათვის გამოეყენებინა, რომ გაეჭიანურებინა კონკრეტულ ღონისძიებათა მიღება, რომლებიც მიმართულია ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი ზუსტი კონტროლის დაწესებისაკენ, და კომისიის მუშაობა წარემართა შეერთებული შტატებისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებათა მიღების გზით.

ამერიკის დელეგატმა ოსბორნმა, რომელიც პირველი გამოვიდა, წინადადება შეიტანა — კომისიაში არ განხილულიყო საკითხი ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესების შესახებ, არამედ ასამბლეის რეზოლუცია გადასცემოდა ატომის კომისიის ეგრეთ წოდებულ სამუშაო კომიტეტს. ასეთი წინადადების მიზანი ის არის, რომ ატომის კომისიის ღია სხდომებზე არ გამოამჟღავნონ თავისი ნამდვილი განზრახვა ამ საკითხში, და ეს საკითხი დაასამარონ სამუშაო კომიტეტის დახურულ სხდომებზე.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა კანადის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა მაკნოტონმა. კანადის დელეგატმა აგრეთვე წინადადება შეიტანა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ მოამზადოს ერთგვარი დოკუმენტაცია ატომის კომისიისა და მისი ქვეკომიტეტების მუშაობის შესახებ

ნორვეგიისა და არგენტინის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს კანადის წინადადებას.

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკი ცდილობს თავი აარიდოს ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხის არსებითად განხილვას.

კომისიის თავმჯდომარემ ი. ა. მალიკმა გაილაშქრა შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენელთა ცდების წინააღმდეგ—მთელი საქმე განესაზღვრათ იმით, რომ ასამბლეის რეზოლუცია მექანიკურად გადაეცათ სამუშაო კომიტეტისათვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოემზადებინა დოკუმენტაცია. მან წინადადება შეიტანა — განეგრძოთ ატომის კომისიაში ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხის არსის განხილვა.

ამ საკითხისა და ასამბლეის რეზოლუციის შემდგომი განხილვა კომისიის შემდეგ სხდომაზე გაგრძელდება.

კომისიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიანდო დოკუმენტაციის მომზადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში

ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ უარყო საბჭოთა წინადადებანი მამაკაცისა და ქალის თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს 18 თებერვლის დილის სხდომაზე დამთავრდა განხილვა საკითხისა მამაკაცისა და ქალის თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენების შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის წევრმა მოროზოვმა თავის გამოსვლებში აღნიშნა, რომ მამაკაცისა და ქალის თანაბარი მუშაობისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელება ეხება არა მარტო მილიონობით მშრომელ ქალს, არამედ მშრომელ მამაკაცებსაც. დისკრიმინაცია ქალის შრომის ანაზღაურებაში მეწარმეებს საშუალებას აძლევს შეამცირონ მუშა მამაკაცების ხელფასი. თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განუხორციელებლად შეუძლებელია აგრეთვე ერთ-ერთი იმ ძირითადი პრინციპის სრული განხორციელება, რომელიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, — მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპის განხორციელება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ ჯერ კიდევ მე-4 სესიაზე, სსრ კავშირის დელეგაციის ინიციატივით, მიუხედავად მთელი რიგი დელეგატების წინააღმდეგობისა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს ურჩევს — განახორციელონ მამაკაცისა და ქალის შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ რიგ წევრ სახელმწიფოებს ეს რეკომენდაცია დღემდე არ შეუსრულებიათ.

ამიტომ საბჭოს ახლანდელ სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანას ურჩევს — უმოკლეს ვადაში კანონმდებლობის გზით დააწესონ თანაბარი ანაზღაურება მამაკაცისა და ქალის თანაბარი შრომისათვის, მიუხედავად ეროვნებისა, რასისა და რელიგიისა, და სათანადო ღონისძიებანი გაავრცელონ არათვითმმართველ ტერიტორიებზე.

მაგრამ, როგორც საბჭოთა წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, საბჭოს ბევრი წევრი, რომელიც მზად არის დეკლარაციულად გამოაცხადოს და სიტყვიერად მხარი დაუჭიროს ამ სამართლიან პრინციპს, შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, როცა საქმე მის განხორციელებაზე მიდგება.

მაგალითად, ბელგიის წარმომადგენელმა ცინიკურად განაცხადა, რომ მის ქვეყანაში ეს პრინციპი „არ შეიძლება განხორციელდეს ამჟამად, ვინაიდან ეს ბელგიელ მეწარმეებს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა მსოფლიო ბაზარზე მის კონკურენტებთან შედარებით“.

ამით მან აღიარა, რომ მილიონობით მშრომელი ქალის ინტერესები მსხვერპლად მიაქვთ ერთ მუჭა მეწარმეთა ინტერესებისათვის, რომელთა შემოსავალიც შეიძლება შემცირდეს ქალის შრომის სამართლიანი ანაზღაურების შემოღების შედეგად.

წარმომადგენლები მთელი რიგი ქვეყნებისა შეერთებული შტატების მეთაურობით, რომელთაც არა სურთ თავიანთ ქვეყნებში ამ პრინციპის შემოღება, ამავე დროს ვერ ბედავენ აშკარად გამოვიდნენ მის წინააღმდეგ. მათ კვლავ აირჩიეს გადადების ნაცადი მეთოდი. შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ შეტანილი რეზოლუცია წინადადებას იძლევა მოწონებულ იქნას გაჭიანურების, არსებითად საბოტაჟის პოლიტიკა, რასაც შრომის საერთაშორისო ბიურო ამ საკითხში ახორციელებს, და ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ ამ საკითხის განხილვა განუსაზღვრელი დროით გადადოს.

ამ ქვეყნების წარმომადგენელთა ორჭოფულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პუნქტებისათვის კენჭისყრის დროს. საბჭოთა რეზოლუციის პროექტის პრეამბულა, რომელიც შეიცავს იმის აღიარებას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს თანაბარი ანაზღაურების პრინციპი იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩაწერილი პრინციპი მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისა, მიღებულ იქნა დელეგატთა უმრავლესობის მიერ. მაგრამ იმ დასკვნითი პუნქტის კენჭისყრისას, რომელიც კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განსახორციელებლად, იგი უარყოფილ იქნა 12 ხმის უმრავლესობით 3 ხმის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, ბელორუსიის სსრ და პოლონეთი), სამმა (საფრანგეთმა, ლიბანმა და ვენესუელამ) თავი შეიკავა.

შემდეგ საბჭო გადავიდა შეერთებული შტატების რეზოლუციის განხილვაზე. ამ რეზოლუციის პირვანდელი პროექტი შეიცავდა პუნქტს, რომელიც ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს შესაძლებლობას ართმევდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხის განხილვას მანამდე, სანამ შრომის საერთაშორისო ბიურო საბჭოს არ წარმოუდგენს მოხსენებას და სანამ ქალთა უფლებების კომისია აზრს არ გამოთქვამს ამ მოხსენების გამო.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა ამერიკის რეზოლუციის პროექტის გაკრიტიკებით საბჭოს წინაშე ცხადყვეს ამ წინადადების არსი. გარდა ამისა, ესოდენ აშკარად გამოხატულმა მისწრაფებამ — ეკონომიური და სოციალური საბჭოსათვის წაერთმიათ ამ საკითხზე მუშაობის განგრძობის შესაძლებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მარშალიზებული ქვეყნების წარმომადგენელთა შორისაც კი შეცბუნება და დაქსაქსვა გამოიწვია. ამის შედეგად აღნიშნული პუნქტი მოხსნილ იქნა, მაგრამ ამან ვერ შეცვალა ხასიათი რეზოლუციის მთელი პროექტისა, რომელიც მიმართულია თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელების ჩასაშლელად. მისგან დარჩა მხოლოდ ნაწილი, რომელიც იწონებს შრომის საერთაშორისო ბიუროს საქმიანობას და რჩევას იძლევა ყველა მასალა ამ საკითხზე გადაეცეს ქალთა უფლებების კომისიას. რეზოლუცია ამ კომისიას ნებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუდგეს ამ მასალების შესწავლას, ხოლო შრომის საერთაშორისო ბიუროს — მოხსენება წარუდგინოს საბჭოს მას შემდეგ, რაც ეს საკითხი განხილული იქნება შრომის საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე.

რეზოლუციის ეს პროექტი მიღებულ იქნა 15 ხმის უმეტესობით სამი ხმის წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება ბრიუსელში

ბრიუსელი, 21 თებერვალი. (საკდესი) გუშინ ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ ბრიუსელში მოაწყო საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება და საბჭოთა ფილმ „მესამე დარტყმის“ ჩვენება.

საზეიმო კრების დამსწრეთა შორის იყვნენ: ბელგიის თავდაცვის მინისტრი დე ფრეტერი, საბჭოთა კავშირის ელჩი ბელგიაში ა. პ. პავლოვი, ბელგიის პარლამენტის დეპუტატები, ბელგიის გენერალური შტაბის ოფიცრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები

მოხსენება საბჭოთა არმიის შესახებ გააკეთა ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მორის სანჟემ.

პოლონელი ხალხი აღნიშნავს შოპენის გარდაცვალების 100 წლისთავს

ვარშავა, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს სახელმწიფო საბჭოს დარბაზში შედგა სხდომა, რომლითაც იწყება მთელი რიგი ღონისძიებანი პოლონეთის დიდი კომპოზიტორის შოპენის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით. სხდომას დაესწრნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბერუტი, პრემიერ-მინისტრი ცირანკევიჩი, პოლონეთის მთავრობის წევრები, სსრ კავშირის ელჩი ვარშავაში ლებედევი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები, პოლონური კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, აგრეთვე შრომის მოწინავენი. სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ბერუტმა.

შოპენის გენიალური ნაწარმოებნი, თქვა ბერუტმა, აღტაცებასა და სიყვარულს იწვევენ არა მარტო პოლონეთში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. შოპენმა ასახელა პოლონეთი მუსიკის დარგში, ისევე როგორც კოპერნიკმა მეცნიერების დარგში და მიცკევიჩმა ლიტერატურის დარგში.

ბერუტი აღნიშნავს, რომ შოპენი თავის შთაგონებას იღებდა სახალხო შემოქმედების საგანძურიდან, ხალხური სიმღერებიდან და მელოდიებიდან, რომლებიც ხალხმა შექმნა და რომლებიც გამოხატავენ მის მწუხარებას, სიხარულსა და მისწრაფებას. შოპენის მუსიკა ასახავს ჩვენი ხალხის ისტორიას, გამოხატავს დიდ ხელოვანის უსაზღვრო სიყვარულს თავისი სამშობლო ქვეყნისა და მისი ბედისადმი.

დღეს, როცა პოლონელი ხალხი თვითონვე განაგებს თავის ბედს, შოპენის შემოქმედება უნდა გახდეს პოლონეთში მილიონობით უბრალო ადამიანის კუთვნილება და აღაფრთოვანებდეს მათ თავისი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობისათვის შრომაში.

დასასრულ ცნობილმა პოლონელმა პიანისტმა შტომპკამ გამართა შოპენის ნაწარმოებთა კონცერტი.

დამთავრდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალის სესია

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი მთავრობის შედგენა

ულან-ბატორი, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალი, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მე-9 დიდმა სახალხო ხურალმა აირჩია.

სესიამ განიხილა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნის საკითხი და დაამტკიცა მისი შემადგენლობა. პრემიერ-მინისტრად, საგარეო საქმეთა მინისტრად და შეიარაღებული ძალების მინისტრად დამტკიცებულია მარშალი ჩოიბალსანი.

შემდეგ სესიამ დაამტკიცა სახელმწიფო საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ფინანსთა მინისტრ მალომჟამცის მოხსენება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 346 მილიონი ტუგრიკის რაოდენობით, ე. ი. თითქმის 20 მილიონი ტუგრიკით მეტი, ვიდრე 1948 წელს, და გასავლის ნაწილში—340 მილიონი ტუგრიკის რაოდენობით, ანუ 23 მილიონით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

საბიუჯეტო ასიგნობათა შორის 103,5 მილიონი ტუგრიკი ასიგნებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის, ეს თითქმის 23 პროცენტით მეტია შარშანდელზე. დიდი ასიგნობანი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. სესიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ამოცანებს.

მცირე ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბუმაცენდეს მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ მუშაობა დაამთავრა.

საფრანგეთში იქმნება „მუდმივი სამხედრო და სამოქალაქო გენერალური შტაბი“

პარიზი, 21 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „სე მატენ-ლე პეის“ ცნობით, „ჟურნალ ოფისიელში“ გამოქვეყნებული დეკრეტით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან იქმნება „მუდმივი სამხედრო და სამოქალაქო გენერალური შტაბი“.

ამ გენერალურ შტაბს, როგორც წერს გაზეთი, დაევალება იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც ეროვნული თავდაცვის ღონისძიებათა კოორდინაციას შეეხებიან. იგი განახორციელებს ხელმძღვანელობას სამხედრო მისიებისადმი საზღვარგარეთ და მონაწილეობას მიიღებს იმ საერთაშორისო მოლაპარაკებათა მომზადებაში, რომლებიც ეროვნულ თავდაცვას შეეხებიან.

„სე მატენ-ლე პეის“ მიაჩნია, რომ ამ შტაბის შექმნა ადასტურებს პრემიერ-მინისტრ კეის განზრახვას თავისი კონტროლის უფლება გაავრცელოს ეროვნულ თავდაცვაზე, და აცხადებს: მაგრამ მაშინაც კი, როცა კეის მრჩევლები სოციალისტი მინისტრის პოზიციებისაგან განსხვავებულ პოზიციებს დაიცავენ, უთავბოლობა და უთანხმოება, რაც არმიას ხრწნის, უფრო გაძლიერდება. დამატებით ბიუროკრატია ვერ შეცვლის ერთიანობას ხელმძღვანელობაში და უფროსის მტკიცე ხელს.

აღნიშნავს რა, რომ ეროვნული კრების ანტიკომუნისტური უმრავლესობა ჩქმალავს „დასავლეთის ქვეყნების გენერალური შტაბებისადმი საფრანგეთის გენერალური შტაბის დამორჩილების“ ფაქტს, გენერალი ჟუენვილი გაზეთ „ლუმანიტეში“ წერს:

„რამადიე მოლაპარაკებას აწარმოებს ატლანტიკის პაქტის შესახებ, მან „ჟურნალ ოფისიელში“ გამოაქვეყნა ყველა მინისტრის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი, რომლის თანახმადაც მის განკარგულებაში იქნება სუპერგემშტაბი, რომელსაც დაევალება ტრუმენის სარდლობით ახალი ანტიბოლშევიკური ლეგიონის მოწყობის მომზადება. წინათ არც ერთი დეპუტატი არ დათანხმდებოდა, რომ ასეთი გადაწყვეტილებანი მიღებული ყოფილიყო პარლამენტის მიერ ყოველგვარი კონტროლის გარეშე, განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა კომპეტენტური კომისია მუშაობს საორგანიზაციო პროექტის შესადგენად.

მაგრამ ასეთი მორიდებულობა მოდაში აღარ არის. როცა კონსტიტუცია და კანონი ხელს უშლიან მთავრობას, მაშინ მათ ანგარიშს აღარ უწევენ.

დღეს საჭიროა აჩქარება. ამერიკის კრიზისი ახლოვდება, და ვაშინგტონი სწრაფ მოქმედებას მოითხოვს.

ხი რატომ იგდებს აბუჩად რამადიე კანონებს, რეგლამენტსა და სხვა ქაღალდებს“.

დასასრულ ჟუენვილი წერს: „ჩვენი პარტიის მიერ გაფრთხილებული ხალხი ნათლად ხედავს და ესმის ომის გამჩაღებელთა თამაში. თუ გაერთიანდება, იგი ბოლოს მოუღებს ომის ამ მზადებას და აირჩევს ისეთ მთავრობას, რომელიც მისი ღირსი იქნება და უზრუნველყოფს მშვიდობას“.

მაქს რაიმანის გამოსვლა

ბერლინი, 21 თებერვალი. (საკდესი). ადნის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაქს რაიმანი საპყრობილიდან განთავისუფლების შემდეგ გუშინ პირველად გამოვიდა სამი ათასი კაცის წინაშე, რომლებიც მიტინგზე შეიკრიბნენ მაინის ფრანკფურტში. რაიმანმა ილაპარაკა იმ შედეგებზე, რომლებიც გერმანიისათვის საოკუპაციო სტატუტს მოჰყვება

რაიმანმა განაცხადა, რომ საოკუპაციო სტატუტისათვის პასუხისმგებლობა აკისრია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას შუმახერისა და ოლენჰაუერის მეთაურობით, ვინაიდან მათ თხოვეს დასავლეთის სამხედრო ადმინისტრაციებსა და ვაშინგტონის მთავრობას ასეთი სტატუტის გამოცემა. საოკუპაციო სტატუტი უზრუნველყოფს ამერიკის იმპერიალიზმისათვის ბატონობას დასავლეთ გერმანიის ოლქებში, მაგრამ ვაშინგტონის თეთრ სახლში არ უნდა იფიქრონ, რომ მარშალებს შეუძლიათ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი.

შემდეგ მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ საოკუპაციო სტატუტისათვის პასუხისმგებელ გერმანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს არ უნდა გაუკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ მომენტში გერმანელი ხალხი მათ ისე მოეპყრობა, როგორც ფრანგი ხალხი მოეპყრო ასეთ მოღვაწეებს 1945 წლის შემდეგ.

ათენის პოლიციის ახალი ბოროტმოქმედება

ათენი, 21 თებერვალი. (საკდესი) გუშინ საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი პაპარიგასი მკვდარი ნახეს ათენის პოლიციის განსაკუთრებული განყოფილების სარდაფის ცალკე საკანში.

დღევანდელი საღამოს გაზეთები, რომლებმაც ეს ცნობა გამოაქვეყნეს, ამტკიცებენ, თითქოს პაპარიგასმა „პიჯამოს ქამრით თავი ჩამოიხრჩო“.

ეს „თვითმკვლელობა“ სერიოზულ ეჭვებს იწვევს დემოკრატიულ წრეებში. ჯერ-ერთი, პაპარიგასს საკანში არ შეეძლო ჰქონოდა არავითარი ქამარი, ვინაიდან თასმებსა და ქამრებს, ისე როგორც ყველა მჭრელ საგანს, პატიმრებს მუდამ ართმევენ. მეორე, უკვე იყო ასეთი შემთხვევები, როცა ნაწამებ ან წამებით გარდაცვლილ პატიმრებს „თვითმკვლელებად“ აცხადებდნენ. მესამე, ხელისუფლებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ პაპარიგასის ჰომავალი სამხედრო გასამართლება და სასამართლოს განაჩენით დახვრეტა მთელი მსოფლიოს ორგანიზებული მუშების აღშფოთებას გამოიწვევდა, ვინაიდან პაპარიგასი შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივნად არჩეული იყო საბერძნეთის პროფკავშირთა კანონიერი მეორე ყრილობის მიერ, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

მასობრივი დაპატიმრებანი ინდოეთში

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბომბეიდან იუწყება: ინდოეთში დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება. 19 თებერვალს 120 კაცი დააპატიმრეს.

კალკუტის პოლიციამ 19 თებერვალს 20 კაცი დააპატიმრა. დაპატიმრება მოხდა აგრეთვე ქალაქ ტრიჩინოპოლში, სამხრეთ ინდოეთის რკინიგზის ცენტრალურ პუნქტში, ნაგპურში, ცენტრალური პროვინციების დიდ სარკინიგზო კვანძში, ბენარესში (შეერთებული პროვინციები) და სურატის რაიონში (ბომბეის პროვინცია).

კომუნისტების დაპატიმრებას იუწყებიან აგრეთვე ჰაიდარაბადის სამთავროდან.

საქართველოს ჭადრაკის ჩემპიონატი

გადადებული პარტიების გათამაშება

21 თებერვალს გათამაშდა გადადებული პარტიები. ებრალიძემ, რომელსაც პარტიაში სოროკინთან მოგების შანსები ჰქონდა, გაუფრთხილებელი თამაშით საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს ძლიერი კონტრშანსები შეექმნა და დამარცხდა. ზედმეტი პაიკი ჰქონდა აგრეთვე ბუილაევსაც გადადებულ პარტიაში გერშკოვიჩთან; ზუსტი თამაშით მან გაანაღდა ეს მატერიალური უპირატესობა და პარტია მოიგო. ბლაგიძე-გაჩეჩილაძის გადადებულ პარტიაში გაჩეჩილაძემ თავი დამარცხებულად ცნო მეორე გადადებული პარტია ჯაკობიასთან გაჩეჩილაძემ ყაიმით დაამთავრა.

გათამაშდა აგრეთვე წინა ტურებში გამოტოვებული ორი პარტია. პარტიაში თურქესტანიშვილთან ქარსელაძემ რთულ მდგომარეობაში დაუშვა შეცდომა და დამარცხდა. ასლანიკაშვილი-ფალავანდიშვილის პარტიაში უკანასკნელმა მოსაგებ პოზიციას მიაღწია, მაგრამ ენდშპილში არაზუსტად ითამაშა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

თორმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: ფირცხალავა 9½ (თერთმეტი შესაძლებლიდან) და ბლაგიძე 9½ (თორმეტიდან).

მიჩურინული კითხვა

25 თებერვალს, 2 საათზე, საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგება მიჩურინული კითხვის მეორე პლენარული სხდომა.

დღის წესრიგი:

მარქსიზმ-ლენინიზმი მიჩურინული ბიოლოგიის თეორიული საფუძველია (მომხსენებელი პროფესორი ი. ჯაში).

საბჭოთა კავშირის ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და მინდორსაცავი ტყის ზოლების მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ზ. გულისაშვილი).

სიმინდის სარეკორდო მოსავლის მიღწევის გზების შესახებ (მომხსენებელი სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი ჩ. ქვაჩახია).

როგორ ვიბრძვით სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალი მოსავლიანობისათვის (მომხსენებელი სოციალისტური შრომის გმირი ძ. რიგვავა).

პრაქტიკაში მიჩურინული ბიოლოგიის დანერგვით მიღწეული შედეგები (მომხსენებელი ნ. ზარნაძე).

თბილისის ზოოპარკში

თბილისის ზოოპარკის ფაუნა ახალი ჯიშის ცხოველებით მდიდრდება.

ამ დღეებში მიიღეს აფრიკული ჯიშის 2 მწვანესახიანი მაიმუნი, 3 ანტილოპი — საიგაკი და კავკასიური ირემი.

ზოოპარკი მოკლე ხანში მიიღებს ცხოველების ახალ პარტიას—ჯიქს, გარეულ კატებს, ფოცხვერს, სხვადასხვა ფრინველს და სხვ.

მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას, 27 თებერვალს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ კორპუსში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების წლიური საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1. განყოფილების პრეზიდიუმის 1948 წ. მუშაობის ანგარიში; 2 განყოფილების — ზოგად-ქიმიური, გამოყენებითი ქიმიისა და სასკოლო სექციების მუშაობის ანგარიში; 3 სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4. 1949 წლის მუშაობის გეგმა.

სემინარი

25 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 29) შედგება ეკონომიკის მეცნიერებათა მუდმივმოქმედი სემინარი თემაზე: „ბრუნვის საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარების ეკონომიური მნიშვნელობა“.

ლექტორი—დოცენტი ა. კაკაბაძე.

ეკონომისტ პროფესორ-ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

ქრონიკა

დაპატიმრებული ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ა. სტრონგი 21 თებერვალს განდევნილი იქნა სსრ კავშირის ფარგლებიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დღეს კინოთეატრებში

რუსთაველის სახ. რუსთაველის პროსპ., 7 ტელეფონი 3-09-50.	მხატვრ. ფილმი „გიორგი სააკაძე“ I სერია დასაწყ. 12 და 2 ს.
ამირანი პლეხანოვის პროსპ. 125 ტელეფონი 3-48-61.	მხატვრ. ფილმი „მესამე დარტყმა“ დასაწყ. 12, 2 და 4 ს.
ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ. 135. ტელეფონი 3-39-84.	ახალი დოკუმ. ფილმი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ დასაწყ. 12. 2 და 4 ს.
სპარტაკი რუსთაველის პროსპ. 23. ტელეფონი 3-08-27.	მხატ. კინო კომედია „ქეთო და კოტე“ დასაწყ. 12 და 2 ს.
„თბილისი“ კოტე ავაშვილის ქ. № 2. ტელეფონი 3-57-88.	ახალი დოკუმ. ფილმი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ დასაწყ. 12, 4 და 6 ს.
„კომკავშირელი“ პლეხანოვის პროსპ. 93. ტელეფონი 3-29-61.	მხატვრ. ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები“ დასაწყ. 12 და 2 ს.
26 კომისრის სახ. მ. უმიახის ძოვაბი, 1. ტელეფონი 3-43-09.	მხატვრ. ფილმი „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“ დასაწყ. 12 და 2 ს.
„კოლმეურნე“ კ. ცეტკინის, 133.	მხატვრ. ფილმი „ალექსანდრე მატროსოვი“ დასაწყ. 12 და 2 ს.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 24-II „აბესალომ და ეთერი“ (14 აბ. 8 წარმ.),

რუსთაველის სახელობის — 23-II „საპატარძლო აფიშით“ (16 აბ. 6 წარმ.), 24-II „არსენა“ (7 აბ. 6 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 23-II „გულსუნდა“ (16 აბ 6 წარმ). 24-II „გამზარდე“ (18 აბ. 5 წარმ.);

ბერიას სახელობის კულტურის სახლი — „მარიცა“ (10 აბ. 5 წარმ., მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა),

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 24-II „აშულ-მურადი“ (1 აბ. 8 წარმ.).

მოქალაქე დიმიტრი ვლადიმერის-ძე გუნკომ, მცხოვრებმა წითელწყაროს რაიონში, ელდარის საბჭოთა მეურნეობაში, აღძრა საქმე ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქე მართა ნესტორის ასულ ივაშენკოსთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ოგანეზ ამბარცუმის-ძე ამამჩიანმა, მცხოვრებმა ბარათაშვილის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ფენდარ მოსეს ასულ მოსეხოვასთან განქორწინების შესახებ საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია აცხადებს ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელ სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ ქ. თბილისში ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 32) იწარმოებს კონსულტაციები 6, 20 მარტს, 3, 17 აპრილს, 8, 22 მაისს და 5 ივნისს დილის 9 საათიდან 4 საათამდე, ყველა ფაკულტეტის, კურსის და სექტორის სტუდენტთათვის.

ქ. თბილისის და მის ახლო რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ სტუდენტთა კონსულტაციებზე გამოცხადება სავალდებულოა.

სტუდენტებს, რომელთაც აქვთ აკადემიური დავალიანება, შეუძლიათ ჩააბარონ გამოცდები 22-დან 31 მარტამდე, საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში.

სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის საქართველოს განყოფილების ქანდაკებისა და თაბაშირის ქარხანა პარკების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მოედნების, ტრიბუნების, სკოლების. კლუბების, წითელი კუთხეების და შენობათა ფასადების გასაფორმებლად უშვებს რკინა-ბეტონისა და თაბაშირის მონუმენტებს, ბიუსტებს და სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს.

ქარხანა იღებს შეკვეთებს ინდივიდუალურ ქანდაკებათა დასამზადებლად.

მისამართი: ტექნიკური ქ. № 6. ტელეფონი № 3-41-82.

ალექსანდრე ალიმბარაშვილი, ნიკოლოზ გიორგობიანი, ალექსანდრე გიორგობიანი, ნესტორ იოსელიანი და ალექსანდრე ქურული იუწყებიან გრიგოლ რუხაძის დედის სოფიო სიმონის ასულ რუხაძის გარდაცვალებას.

ნესტორ, ამბროსი, კუკური, თამარ, მარგალიტა, რუზანა და ბაბილა მესხები იუწყებიან თეოლინე ფრიდონის ასულ მაჩაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-II, 7 ს. გამოსვენება 27-II, 3 ს. ჩინჩის, 3 (საბურთალო).

მშობლები გიორგი და ნინო, ძმები ოთარ და ტარიელ, და ეთერ იუწყებიან ვალიკო ბეგიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 24-II, 5 ს. ბაჩანას, 5. (26 კომისრის რაიონი).

მოლოტოვის რაიონის სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კ. მესხს თეოლინე ფრიდონის ასულ მაჩაიძის გარდაცვალების გამო.

დედა ლუსია, მეუღლე ელენე, შვილი ლამარა, ბიცოლა მერი, დეიდები მარგო და ელია ოჯახებით იუწყებიან ლეო შალვას-ძე ანდღულაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-II, 8 ს. გამოსვენება 24-II, 4½ ს. პლეხანოვის, 88 (შესასვლელი მარჯანიშვილის ქუჩიდან).

ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს კალიანდაგო სამსახურის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. რუხაძეს მისი დედის სოფიო სიმონის ასულ რუხაძის გარდაცვალების გამო.

შვილები თეოფანე, ბუცა ყურაშვილები, აკაკი, შალვა უგულავები, სიძე ალექსანდრე კალანდია, რძალი გუგუ იუწყებიან მაქსიმე იოსების-ძე ყურაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-II გეგეჭკორში.

ბ. მოისწრაფიშვილი, გ. ხეცურიანი, ი. გუკიელი, თ. ჭაია, კ. შარაშენიძე, ნ. დგებუაძე, შ. კალანდარიშვილი, ტ. ფილოიანი, ბ კარაპეტიანი, ს. ფაჩულია, კ. ლოლობერიძე, თ. არღანიშვილი, ზ. გიორგაძე, გ. წულეისკირი, ბ. გამრეკელი, შ. პურდული, ნ. ანდღულაძე იუწყებიან არჩილ ჭირაქაძის მამის ვარლამის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული საცდელი სადგურისა და რესპუბლიკური ვეტერინარული ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ნანობაშვილს მისი მამის ივანე ნანობაშვილის გარდაცვალების გამო.

ძმები სიმონ, ლევან და ალექსანდრე ნამორაძეები, დები მარო და ლიზა, მიხეილ მამუჩაშვილი, სიძე შიო კარიაული ოჯახებით იუწყებიან იოსებ ზურაბის-ძე ნამორაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-II, 4 ს. მცხეთაში.

დ. რომელაშვილი ოჯახით იუწყება გიორგი დავითის-ძე ლომიშვილის გარდაცვალებას.

შვილები ალექსანდრე, ანა, გრიგოლ, რძლები ზინა, ანა და ქსენია რუხაძეები შვილებით იუწყებიან სოფიო სიმონის ასულ რუხაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-II 8 ს. გამოსვენება 24-II 5½ ს. საბჭოს, 86.

შვილები ისიდორე, დომენტი, ანეტა, სონია, კასანია, მარგალიტა, ფედოსია, მატია, ნადია, რძლები თამარ, ცაცა ოჯახებით იუწყებიან თეოლინე ფრიდონის ასულ მაჩაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-II, 7 ს. გამოსვენება 27-II, 3 ს. ჩინჩის, 3.

მეუღლე მარიამ, შვილები გიორგი, ვანო, ანა, რძლები ანა და მარო შვილებით იუწყებიან დავით გიორგის-ძე ილურიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II, 5 ს. გორში, კეცხოველის, 52.

„თბილხელბოსტანვაჭრობის“ საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან გ. ბეგიაშვილის შვილის ვალიკო გიორგის-ძე ბეგიაშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები ფილია, მარი ბონიკა, დიმიტრი, ესტატე და პავლე ლაზარევები იუწყებიან ლაზარე ესტატეს-ძე ლაზარევის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II ახალქალაქში.

მეუღლე ქეთო, შვილები ნელი და თამილა, მშობლები პარასკევა და პლატონ, მამიდა ოლღა, სიძე ეპიფანე გვარჯალაძე ოჯახით იუწყებიან შალვა პლატონის-ძე გადილიას გარდაცვალებას. გამოსვენება 24-II, 5 ს. გოგებაშვილის, 5.

პაპა საბა, ბებია მარიამ, ბიძები მიშა და რაჟდენ ოჯახებით, მამიდა ნინო ბეგიაშვილები და ლონგო არსენიშვილი იუწყებიან ვალიკო ბეგიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 24-II, 5 ს. ბაჩანას, 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, ხამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობისა — 3.51.81, სტამბის დირექტორი—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 01216